ელექტრონული ჩართულობის პლატფორმა ქალაქის განვითარებისთვის: საკომუნიკაციო სტრატეგია და ტაქტიკა

ნიკოლოზ სხირტლაძე

გიორგი მოისწრაფიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე

საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ნატროშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2018

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნიკოლოზ სხირტლაძე

გიორგი მოისწრაფიშვილი

05.21.2018

აბსტრაქტი

საქართველო ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოა და სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მიზეზის გამო, საქართველოში ელექტრონული მმართველობა ჯერ კიდევ ინოვაციად მოიაზრება. ქვეყანაში მართველობის ზემოხსენებულ მოდელზე საუბარი და მისი ინტეგრაციის პროცესები რამოდენიმე წელია დაიწყო. დემოკრატიული ტრანზიციისა და კონსოლიდაციის პროცესში კი, მართველობის ელექტრონული ფორმის ინტეგრაცია ერთ-ერთ აუცილებელ ასპექტად გვესახება. რას გულისხმობს ელექტრონული მთავრობა? რა დადებითი და პოზიტიური ზეგავლენა გააჩნია მას ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების პროცესზე? რა ფორმით იქნება ეფექტური მისი გამოყენება და როგორ იმოქმედებს ქალაქის განვითარებაზე? როგორ შეიძლება მისი სრული ინტეგრაცია და პოპულარიზაცია ქართულ რეალობაში? საზოგადოებასთან ურთიერთობის რა სტრატეგია იქნება შედეგის მომტანი ერთის მხრივ ნაშრომში შეთავაზებული პლატფორმის პოპულარიზაციისთვის და მეორე მხრივ, მოქალაქეების ჩართულობის მაქსიმალურად გაზრდისთვის? ნაშრომი მიზნად ისახავს ზედმიწევნით გასცეს პასუხი ზემოხსენებულ კითხვებს და არსებული მოდელის კრიტიკისა და განვითარებული ქვეყნების მაგალითზე შეიუმუშაოს ქალაქის განვითარების ახლებური, ელექტრონული მართველობის ალტერნატიული მოდელი, რომელიც უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისთვის.

კვლევის მეთოდოლოგიას ძირითადად ოთხი მთავარი კომპონენტი განსაზღვრავს. ესენია, კონკრეტული შესასწავლი კვლევის ნიმუში (case study), რომელიც მიზნად ისახავს ერთ ან რამოდენიმე კონკრეტულ შემთხვევაზე დაკვირვებითი ანალიზის გაკეთებას, დისკურსის ანალიზი, სხვადასხვა ლიტერატურის, ნაშრომების, სტატიების, ახალი ამბებისა და პირდაპირი თუ არაპირდაპირი კვლევების ანალიზს არსებულ საკითხზე და შედარებითი ანალიზი, რომლის მეშვეობითაც ორი ან რამოდენიმე მთავარი ქმედების სუბიექტის შედარება და ანალიზი ხდება.

კვლევის ტექნიკად გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა გამოქვეყნებული დოკუმენტის, ლიტერატურის და კვლევების ანალიზს მოიაზრებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია, ქალაქის ბრენდინგი, ელექტრონული მთავრობა, ელექტრონული მთავრობა 2.0

Abstract

Georgia as a young democratic republic has a different social, economic or political ongoing issues concerning the countrie's development, and that is why integrating the electronic government is still seen as innovation. Thus, there is only several years that the processes of implementing electronic way of governing in the country has started and it could be described as the mandatory part of democratic transition and consolidation. What is E-government? How can it be described and how positively it influences Georgia on its way of social, economic and political development? What are the best ways to effectively integrate E-govemrnemt in city branding? How should we popularize it in the Georgian reality? What are the best ways as a public relations strategy, on the one hand for the given platform and on the second hand to increase the Civil Society engagement? The given research aims to thoroughly answer the given questions and by analyzing different and local cases, elaborate alternative way of E-governing in the process of city development, which will be the moste suitable and easy for Civil Society and private sector engamgent.

There are four different components defining the research methodology. Therefore, case study method, which itself means deepen research of different cases, discourse analyzis, reviewing different articles, publications, researches using online sources, and comparative analyzis.

As a research technique, the paper uses quantitative and qualitative research methodology as well.

Key Words: Civil society, City branding, democracy, E-government, E-government 2.0